თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7082182

ნომერი: AR11040270

თარიღი : 04.06.2024

გაცემის თარიღი : 14.06.2024

გაცნობის თარიღი : 14.06.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N91;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ჯანიაშვილი პ/ნ 01017033100
- თბილისი ი.გოგებაშვილის I გას. N 25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 04 ივნისის №AR11040270 განცხადებით მომართა გიორგი ჯანიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის №6833229 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის №6833229 ბრძანებით, №01.13.04.017.096 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების III და IV ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 8 იანვრიდან 2025 წლის 8 იანვრის ჩათვლით.
სამსახურის 2024 წლის 28 თებერვლის №6910663 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის №6833229 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდა: 17143.96, საცხოვრებელ ფართობად: 11249.4 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 2170.7 კვ.მ. ასევე, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატა კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი: 1729.7 კვ.მ. გარდა ამისა, სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის №6833229 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდა 2024 წლის 07 თებერვალს №AR11013750 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის №6833229 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, რამდენიმე გეგმაზე გამორჩენილია ფართობების დატანა. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის №6833229 ბრძანებით შეთანხმებულ იქნა III და IV ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, ხოლო წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილ -3.00 და +29.70 ნიშნულის გეგმებზე ფართების დატანა ხდება I და II ბლოკებზე (I და II ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი შეთანხმებულია სამსახურის 2022 წლის 01 ივნისის №5962424 ბრძანებით). ამდენად, ვინაიდან სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის №6833229 ბრძანებით I და II ბლოკების არქიტექტურული პროექტი შეთანხმებული არ არის, სამსახური მოკლებულია 2024 წლის 08 იანვრის №6833229 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას I და II ბლოკებთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის №6833229 ბრძანებაში III და IV ბლოკებთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომა არ ფიქსირდება, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.